ხუთშაბათი, 24 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 24 ივნისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 146 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 146

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ხუთშაბათს, 24 ივნისს, დილის 9 საათზედ კუკიის წმიდა ნიკოლოოზის ეკლესიაში გარდაცვლილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

იოსებ ზოსიმის ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი **ეკატერინე სვიმონის ასული** და მეუღლე **ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ.** (2—6—2).

გაზეთ „ივერიის“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რედაქცია აუწყებს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მხოლოდ 5 მანეთი აქვთ წარმოდგენილი, შემოიტანონ დანარჩენიც 1 ივლისამდე, რათა გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

რედაქციისაგან

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

ფასი ერთი მანეთი.

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—3).

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღეა. (24—160—1)

ქართველნი მკურნალნი:

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

ვიღებ საეკლესიო პანკელეზის სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ჰრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს. (15—13)

ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების რჩევა, თანახმად საზოგადოების წესდების 33 მუხლისა, მოიწვევს საზოგადოების წევრთა, მობრძანდნენ 7 მომავალს ივლისს საზოგადოების საერთო კრებაზე ბანკის სადგურში, განსახილველად რჩევის მოხსენებისა შემდეგ საგნებზე:

1) მოეთხოვოს საზოგადოების წევრთა, შემოიტანონ საზოგადოების კასსაში ნაცვლად 10%-სა 20%, თანახმად წესდების მესამე მუხლის შენიშვნისა.

2) არჩეულ იქმნას საზოგადოების გამგეობის სამი წევრი, ნაცვლად სამთა ახლანდელთა, რომელთაც განუცხადეს რჩევას სამსახურის თავის დანებება, და

3) არჩეულ იქმნას საზოგადოების რჩევის დეპუტატები, ნაცვლად ახლანდელთა, რომელთაც განუცხადეს რჩევის თავმჯდომარეს სამსახურის თავის დანებება. (2—6—1)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ნ. დიასმაიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 **ს.** სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოზოლევსკი — ძოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა -(ელექტრო-ტერაპია

გ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

ვაფანგოუს ბრძოლა.—ბრძოლა გზა-და-გზა.—ჩინელი ჯაშუშები.—ცეცხლი კრონშტადტში.—ა. სუვორინის გულის თქმა.

მანჯურიის ლაშქრის სარდლის გენერალ კუროპატკინის დეპეშაზე, 17 მაისის ბრძოლის შესახებ ვაფანგოუსთან, ხელმწიფე იმპერატორმა ინება და თავის ხელით დააწერა: «საგმირო საქმეა».

(პრიამურ. ვედომ.)

—

ვაფანგოუს ბრძოლა 13 ივნისს, გენერალ-მაიორის სამსონოვის მოხსენებით, ასე ყოფილა:

ერთი რაზმი, რომელშიაც ხუთი ესკადრონი იყო, 5 ყაზახთა ასეული, სანაპირო დარაჯთა ასეული, მხედართა დასი და ზაბაიკალის ყაზახთა ბატარეა, გენერალ-მაიორის სამსონოვის უფროსობით ჩრდილოეთიდგან სადგურ ვაფანგოუსკენ გაემართა. წინ მიუძღოდა ესკადრონი და 40 მხედარი მოწინავე დასისა, რომელსაც საბანაკო ადგილი უნდა ამოერჩია და საკვები დაემზადებინა. ეს მცირე მხედრობა იმიტომ გაგზავნა, რომ წინად წასული იყო სანაპირო დარაჯთა ნახევარი როტა და ნახევარი ასეული. ვაფანგოუმდე 7 ვერსტი კიდევ იყო გასავლელი, როდესაც მოწინავე დასმა გაიგო, რომ სანაპირო დარაჯთა 150 კაცს შეტაკება მოსვლიათ ძლიერ მტერთან, სადგურს ახლო. საჩქაროდ გაიგზავნა დასახმარებლად სანაპირო რაზმის სამი ესკადრონი, თან გაჰყვა მხედართა დასი, 100 სანაპირო დარაჯთა ასეული, ერთი ბატარეია და რაზმის უფროსი. პოლკოვნიკ ვორონოვს დაევალა დანარჩენი ჯარიც საჩქაროდ მიადევნოს, როდესაც ბატარეია ვიწრო ხეობას გაივლის... იაპონელები სოფელ იუძიატუნში და ალმოსავლეთის მხარეს მაღლობზე იყვნენ. ცხარე ბრძოლა მოხდა. ჯერ იაპონელები სჯობნიდნენ და წინ მიდიოდნენ. ბოლოს რუსის ჯარს იაპონელები დაუმარცხებია და უკუ უქცევია, ხოლო იმდენი ძალა კი აღარ ჰქონია, რომ დასდევნებოდა, მით უმეტეს, რომ ორი ესკადრონი და ერთი ასეული წინადვე მტრის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ გაუგზავნია.

გენერალ სამსონოვის აზრით, რუსის მხედრებს მარჯვედ უხმარნიათ შუბები და მრავალი იაპონელი გაგმირეს თურმე. იაპონელთა მხედრობა, ანუ გენერალ აკიამას ბრიგადის კავალერია, კარგი მოსაწონი ყოფილა; ცხენები კარგი ჰყავთ, გამხდარი და პატარა, ხოლო ძარღვიანი. მოკაზმულობა და მხედართა იარაღი შესაფერია, ხოლო მეტად მძიმე. ყარაბინი კარგია, ხმალი ცუდი და ჩლუნგი. იაპონელების მხედრობა ბრძოლის ველზე საქებურად ასრულებს თავის დანიშნულებას. (რ. ვ.).

—

როგორც იაპონელები ოფიციალურად იუწყებიან, 13 ივნისს ბრძოლა ყოფილა ჯუნხატურსა და გუძიატუნთან. რუსებს ჰყოლიათ 3 ბატალიონი 6 ზარბაზნით და კავალერიის რაზმი ორ ტყვიის მფრქვევლით. რუსის ჯარი მაღლობზე იყო. იაპონელებმა იერიში მიიტანეს. ბრძოლა საღამოს 5 საათამდე გაგრძელებულა, როდესაც იაპონელებს შეუსვენიათ. შუაღამისას იაპონელებს კიდევ მიუტანიათ იერიში და რუსის ჯარი გაუძევებიათ. მეორე დღეს რუსის ჯარს 3 სხვა ბატალიონი მიშველებია, 16 ზარბაზნით, და ახლა ამათ მიუტანიათ იერიში იაპონელებზე, რომ წინანდელ ბინაზე დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ იაპონელები კარგა გამაგრებულან და რუსები უკუ უქცევიათ. ბრძოლა საღამოს 8 საათზედ შეწყვეტილა.

13-სავე ივნისს იაპონელების მეორე კორპუსის უმრავლეს ნაწილს ფინ-შუინლინის გზაგრეხილი დაუჭერია. ამ კორპუსის ერთს რაზმს რუსის ორი ბატალიონი გაუძევებია ირხტან-ხანიდგან. მესამე კორპუსს (გენ. ასადა) ორი ათასი რუსის მხედარი ვანჩაა-პან-ძიანიდგან გაუძევებია 13 ივნისს და ფინ-შუინლინის ქედის ძირში შეუსვენია. დილის 5 საათზე რუსის არტილერიას ყუმბარები დაუშენია. იაპონიის არტილერია პასუხს აძლევდა და ამ დროს მეოთხე კორპუსს (გენ. კოდამა) შისუინლის სიმაღლიდგან რუსის ორი როტა გაუძევებია. იაპონიის არტილერიამ ისარგებლა ამ გარემოებით და უკეთესი ადგილი დაიჭირა, საიდგანაც ფინ-შუინლინისთვის ყუმბარები დაუშენიათ. 14 ივნისს დილით რუსის არტილერია გაყუჩებულა და უკან წასულა. 11½ საათზე ფინ-შუინლინი იაპონელებმა დაიჭირეს. რუსები სიმუჩენისკენ წასულან. რუსები სამის თვის განმავლობაში ამაგრებდნენ ფინ-შუინლინს, მრავალი თხრილები ამოეღოთ ზარბაზნებისთვის და საერთოდ კარგად მოეწყოთ; მაგრამ იაპონელებმა იერიშით აიღეს. რუსებს იქ ჰყოლიათ 17 ბატალიონი, სამი პოლკი, 6 ბატარეა, 9 ესკადრონი, ერთი კავალერიის პოლკი და ცხენის არტილერიის ერთი ბატარეა, ორიც ტყვიის მფრქვეველი ჰქონიათ. (რ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან ლონდონის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: აქ მრავალი ჩინელი შეიპყრეს, რომელნიც იაპონელებს ჯაშუშებათ ჰყოლიათ ვაფანგოუს ბრძოლის დროს და იაპონელებს ანიშნებდნენ, როგორ იყო დანაწილებული რუსის ჯარი. სასამართლომ ჯაშუშებს სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენი იმავე დღეს აასრულეს და ჩინელები ჩამოახრჩეს. კორესპონდენტები საერთოდ მოწმობენ, რომ ჩინელები რუსებს საქმეს უპირებენ. ხუნხუზების რაზმები, იაპონელების წინამძღოლობით, გენერალ რენენკამპფის ჯარს მოსვენებას არ აძლევს. ჩინელები სურსათსა და საკვებს მალავენ და რუსებს არ აძლევენ. ხუნხუზები ტელეგრაფს ძალიან ემტერებიან. ერთს ღამეს რვა ვერსის მანძილზე მავთული სულ ჩამოეხსნათ და სადღაც წაეღოთ. ხუნხუზებს ნიუ-ჯუანთან იაპონელებმა მრავალი ახალის სისტემის თოფები და პატრონები დაურიგეს. (ბირჟ. ვედ.).

—

წვიმა-ავდარმა მანჯურიის გზები წუმპე-ჭაობებად გადააქცია. წინად სიცხემ

მდინარეები თითქმის სულ დააშრო; ეხლა კი ისე აადიდა, რომ ეტლითაც არ გაისვლება. ამ დღეებში ათიოდე ეტლი ბარგ-ცხენიანად წყალმა წაიღო და დაღუპა. მეეტლენიც კი დაიღუპნენ. ავდარმა იაპონელებიც შეაჩერა, რომლებმაც უკან დაიწიეს. ლიაოიანის გზით კი მაინც წინ მიდიან. (ნ. ვ.).

—

შანჰაიდგან იუწყებიან: პორტ-არტურში სურსათი საკმაოდ არის, 8 თვეს მაინც ეყოფათ მეციხოვნეებსაო. დაზიანებულ ჯავშნიან გემებიდგან ფორტებზე გატადანილი ზარბაზნები ისევ გემებზედ დააყენეს. ამას წინად ცხარე ბრძოლა იყო პორტ-არტურიდგან 15 ვერსის სიშორეზე. იაპონელებმა «მგლის გორა» აიღესო. (პ. ვ.).

—

კრონშტადტში 16 ივნისს შუაღამისას ცეცხლი წაჰკიდებია ნაღმიან ყუმბარების ქარხანას. უშველებელმა ალმა მთელი მიდამო გაანათა ჯავშნიან გემების ახლო. ნავსადგურს აუარებელი ხალხი მიაწყდა. საზარელი ხმა ისმოდა გარშემო: სამხედრო გემები იწვისო. ერთბაშად რაღამაც იგრიალა, თითქო ზარბაზანი დასცალეს ან ნაღმი ააფეთქესო. რამდენისამე წუთის შემდეგ კიდევ გაისმა გრიალი, მესამე, მეოთხე. ეს ნაღმიაო,—დაიძახა ხალხმა. ცეცხლის მქრობელი რაზმი თავგამოდებით ირჯებოდა. გემებიც გარს შემოეხვივნენ და მილებით წყალი დაუშინეს. კრონშტადტში სანაღმო სადგური მაშინ დააარსეს, როდესაც უაიტხედის ნაღმები შემოიღეს. 16 ივნისს სადგურზე მუშაობა ღამის 10 საათზე შესწყვიტეს და სადგურიც დაჰკეტეს. ერთის საათის შემდეგ დარაჯმა ცეცხლი შენიშნა და უფროსს შეატყობინა. მეზღვაურებმა კარი შეამტვრიეს და ცეცხლის ქრობას შეუდგნენ, მაგრამ ცეცხლი შენობას მოედო. ვიდრე ცეცხლის მქრობელი რაზმი მოვიდოდა, ბალტიის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი ბირიულოვი აძლევდა განკარგულებას. სადგურზე მრავალი ყუმბარა იყო დამზადებული, რომლებშიაც ჯერ ნაღმი არ ჩაეწყოთ, მაგრამ შეჯგუფული ჰაერი კი იყო მოთავსებული და სწორედ ამ ჰაერს გაჰქონდა გრიალი. მეტად ცხელოდა და ამიტომ ყუმბარების გადარჩენა შეუძლებელი იყო. 20 ყუმბარიდგან მხოლოდ ორი თუ სამი გამოიტანეს. დანარჩენები აფეთქებულიყვნენ. სადგური მანქანებით სულ გადიწვა. მომეტებული ნაწილი ყუმბარებისა უვარგისი ყოფილა. ცეცხლისაგან უბედურება არ მომხდარა, მხოლოდ ერთი მეზღვაური ყუმბარის ნატეხმა მცირედ დასჭრა. (პეტ. ლისტ.).

—

ა. სუვორინის ბულის თქმა.

თუ ჩვენს მწერლობაში თითქმის არა სჩანს რიგიანი კრიტიკა სამხედრო მოქმედებისა, საზოგადოებაში ხომ სრულიად არ უნდა იყოს. საზოგადოებაში ხმაურობაა, გაუგებრობა და დაუწყნარებლობა. მხოლოდ დეპეშებზე დამყარება მსჯელობისა, ძალიან კარგადაც რომ იყოს დეპეშები შერჩეული, შეუძლებელია. სამხედრო კრიტიკისათვის ბევრი რამ არის საჭირო. სამხედრო კაციც-კი, მცოდნე და განვითარებული, ხშირად ვერ გამოარკვევს, ვერ დააფასებს თავის თვალით ნახულს და გადაწყვეტით ვერ იტყვის, ერთმა მხარემ რად წააგო ომი და მეორემ რად გაიმარჯვა. როცა დამარცხებაა, მსჯელობა გაყუჩებულია. გამარჯვებულზე ამბობენ: იმიტომ გაიმარჯვა, რომ ეგრე უნდა მომხდარიყო. ეტყობა, სარდლებს ყოველივე წინადვე გამოანგარიშებული და გათვალისწინებული ჰქონდათ, ყოველი ნაბიჯი გამოზომილი; განკარგულება რიგზე მიუციათ და ხელქვეითებსაც ზედმიწევნით შეუსრულებიათ. იქნება საქმით სულ სხვანაირად იყო, სარდალმა წინადვე არა იცოდა-რა, ხელქვეითებიც დაიბნენ, მაგრამ, რაკი გაიმარჯვა, ყოველივე ჩინებულად უნდა იგულისხმოთ. ყველა კმაყოფილია, ყველა დღესასწაულობს,—არც არა მხდალია ვინმე და არც სარდალს სწამებენ უვარგისობას. ყოველ ნაკლსა და შეცდომას გამარჯვება აქარწყლებს, საჩუქარი უხვად რიგდება, სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

მე მგონია, ომშიაც, როგორც საერთოდ ცხოვრებაშიც, ბედს ბევრი რამ შეუძლიან,—ამბობს ა. სუვორინი. ხოლო ბედი ბედნიერ კაცებსა წყალობს, ბედნიერ კაცებს ბედნიერი აგებულება უნდა ჰქონდეთ, ბედნიერ აგებულებაში ნიჭი მოიპოვება... ამბობენ, ნორმალური კაცი უნიჭოაო, გენიოსი კი შპაგიოო, შეშლილი. არა მგონია, ეს მართალი იყოს, მაგრამ სამხედრო საქმეშიც, უეჭველია, ნიჭიერი სარდალია საჭირო, ნიჭიერი კაცები და ბედნიერი კაცები. რასაკვირველია, ბედის გარდა ცოტა ჭკუაც არის საჭირო, როგორც სუვოროვი ამბობდა, ხოლო ჭკუა ნიჭის თანამგზავრია, ნიჭი კი—ბედისა...

ამბობენ, ეხლანდელი ომი ის აღარ არის, რაც წინად ყოფილაო. მაგრამ, რაც უნდა იყოს და რა ცვლილებაც უნდა მისცეს ეხლანდელმა იარაღმა, მაინც ბედია საჭირო და ყოველივე, რაც მასთან განუყრელია. ამბობენ, ეხლა ანგარიშია საჭირო, მომეტებული ძალა, იარაღი და მეტადრე არტილერია. ვისაც მეტი არტილერია აქვს, ის ბატონია. გენერალი შტაკელბერგი იმიტომ დამარცხდა, რომ არტილერია მოწინააღმდეგეზე ნაკლები ჰქონდა. უეჭველია, სხვა მიზეზებიც იყო, და ყოველი კრიტიკოსი ხომ თავის მიზეზს გაატყვრენს... ტიურენჩენთან ჩვენ ბევრით ნაკლები ძალა გქონდა, მაგრამ ჯარმა საოცარი სიმამაცე გამოიჩინა.. ეტყობა, ანგარიშში მოვტყუებულვართ და გამოანგარიშებაც ხომ ნიჭის თვისებაა. ზოგი ანგარიშობს წყნარად, დალაგებით, რთულად, ვრცლად, მთლად ომის მოწყობის საქმეს, როგორც მთავარ-სარდალი, ხოლო არის ანგარიში სწრაფი, შთაგონებული, რასაც მდაბიო სიტყვით მოხერხება ეწოდება.

ამ დღეებში ჩვენ სამთო ზარბაზნებზე გვქონდა ლაპარაკი. მცოდნე არტილერისტი ამბობდა, ჩვენ მთა-ადგილს სატარებელი ზარბაზნები არა გვაქვს, რადგან სხვებსაც არა აქვთ, გარდა იაპონელებისაო. იაპონელებმა იცოდნენ, რომ მთაზედაც მოუხდებათ ბრძოლა, ჩვენ კი, სჩანს, არა გვცოდნია. მე კი კარგა ხანია მესმის, რომ ჩვენც უნდა გვქონოდა სამთო ზარბაზნები და სწორედ წასულ იანვრისათვის უნდა დამზადებულიყო. ხოლო დიდხანს მოუნდნენ ორ სისტემის კვლევა-გამოცდას და ამიტომ ვერც ერთი მოესწრო. ასე ამბობენ. მაგრამ რას არ ამბობენ და შეიძლება, ესეც ტყუილი იყო, თუმცა საქმის გაგრძელება, ნელა სიარული ჩვენ ჩვეულებადა გვაქვს გადაქცეული: «ნელა იელი, შორს წახვალ» და «შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გამოსჭერ». ეხლა-კი სამთო ზარბაზნებსაც ვგზავნით და ჩვენი მსწრაფლ-მსროლელი არტილერია ხომ ჩინებულია, როგორც ირწმუნებიან რუსებიცა და უცხოელებიც.

მე ვსთქვი დასაწყისში, საზოგადოება არა ჩვეულებრივ ბევრსა ლაპარაკობს და კრიტიკოსობს და საიდგანდაც ცნობებსა ჰკრებს, რომელზედაც ამყარებს თავის კრიტიკას; გულ-გრილად, ირონიულად, მასხარობს ოხუნჯობს მრავალგვარად, უაზროდ, ყრმა და მოხუცის გასართობად. მე არ მიყვარს ესეთი კრიტიკა არც მწერლობაში, არც ცხოვრებაში და უმეტესად არც ომის გამო. მე მირჩევნია კრიტიკა ჟინიანი, ატაცებული. როგორც გულგრილი, ისე ჟინიანი კრიტიკა ხშირად სცდება, მაგრამ ჟინიანი კრიტიკა და ატაცებული მსჯელობა ნიჭისა, ანუ ძლიერის გრძნობის ნიშანია, გულწრფელის გატაცებისა; ჟინი ცხოველის სულის მომასწავებელია, ტანჯულ გულისა, გარდამქმნელ იმედისა. გულგრილი და ოხუნჯური კრიტიკა კი იმათი კუთვნილებაა, ვისაც საზოგადო ინტერესისათვის გული არ შესტკივა, ვინც წვრილმან თავმოყვარეობას მაღლა აყენებს, პირად სარგებლობასა და ანგარიშს ემსახურება...

ჩვენ უბედურება გვდევნის და, თუ მცირე ხანს ბედმა გაგვიღიმა, სიხარულის ნაცვლად კილვა-დაცინვას დაგვიწყებენ, გველისავით ასისინდებიან, ენას გამოაგდებენ და აქეთ-იქით აიქნევენ; თინამოაზრე და თანამგრძნობი ვიშოვოთო. კაცი იფიქრებს, ვითომც ჩვენ ბედის ღირსნი არა ვართ, რადგან დავწვრილმანდით და გავიხრწენით, სული აგვიმყაყდა ამაოებისა და ქვემძრომობის წუმპე-ჭაობში.

ეხლანდელი წუთი ჩვენის დიდის ტრაგედიისა მთელ კაცობრიობის ყურადღებას იზიდავს ა. ნ. კუროპატკინისკენ. იმას კი კაცობრიობის ყურადღება არაფრად მიაჩნია, ის მხოლოდ რუსეთისთვის ზრუნავს, რომელიც მას დაავადებულ გულითა და იმედით შესცქერის. რა რიგად სძგერს ამ ბოლოს დროს მისი გული—ვერავინ გვიამბობს, ვერც ხელოვნური სურათი და ვერც სიტყვა-კაზმული თხზულება ვერ მიგვახვედრებს. დიდი უფლება, დიდ პასუხისგებასთან დაკავშირებული, დიდს ტანჯვასაც შეიცავს. ერთს კვირაში ადამიანი მთელ თავის ცხოვრების სულის კვეთას გამოივლის. ის, რომელიც ჩვენ მოთმინებას გვირჩევს, რა მხურვალე მოუთმენლობით ელოდებოდა იმისკენ მიმავალ ჯარს და როგორ იწოდა, თუ თავის დროს არ მიუვიდოდა! ეხლა ის მტერს დაუახლოვდა, რომელიც მოდის სამხრეთით და აღმოსავლეთით. ის ყოველ წამსა სთვლის და განუწყვეტლივ ამოქმედებს ენერგიულ გონება-წარმოდგენას. ღმერთმა ღონე მისცეს! მოწინააღმდეგენი ყოველ წუთს ერთმანეთს უახლოვდებიან; ბრძოლა ყოველ წამს მოსალოდნელია, იქნება კი, ცოტას ხანს შეგვიანდეს—დეპეშა ომის ველის სარკმელი როდია. (ნ. ვ.).

ტფილისი

⁂ ტვერის მე-43 დრაგუნთა პოლკის შტაბს-როტმისტრს თავადს პავლავაძეს, სამსახურის წელთა შესრულების გამო, ებოძა როტმისტრობა.

⁂ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ალექსი შაბათს, 26 ივნისს, მიემგზავრება ხაშურს, სადაც კვირას, 27 ივნისს, უნდა აკურთხოს ახალ ეკლესიის საძირკველი, ხოლო 29-ში სად. სუმბათოვის მახლობლად აკურთხებს სოფ. ახალდაბის ეკლესიას. სუმბათოვიდგან ექსარხოსი სარევიზიოდ მიდის ბორჯომ-ბაკურიანსა და ახალქალაქ-ახალციხის მაზრებში.

⁂ სასჯულო საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ ეიუბა-ალავერდი-ოღლის, მილიციის პრაპორშჩიკს ასტან-აღა-დაშდალურ-აღა-ოღლი ყასუმოვს, შამილ-ოსმან-ოღლის ყაზახის მაზრის მცხოვრებს მაშადისა და გუმბრის მაზრის მცხოვრებს ჰამიდ-ისმაილ-ოღლის, რომელნიც სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებათა ჩადენისათვის, ეპატიოთ დანაშაული და ჩარიცხულ იქმნან კავკასიის ცხენოსან მხედართა ბრიგადაში, რომელსაც ადგენს გენერალ-მაიორი თავ. ორბელიანი. ხელმწიფე იმპერატორმა 13 ივნისს კეთილ-ინება და ბრძანა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ომის გათავების შემდეგ მათი ბედი გადასწყვიტოს სასჯულო საქმეთა მინისტრმა სამხედრო მინისტრთან შეთანხმებითაო.

⁂ ფინანსთა მინისტრმა გამოჰგზავნა კავკასიაში საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავ. კანტაკუზინი, რომელმაც უნდა მოახდინოს რევიზია გადასახადთა ინსპექტორებისა და მათ თანაშემწეთა საქმეებისა. კანტაკუზინსავე მიენდო ტფილისის სახაზინო პალატის მეორე განყოფილების საქმის წარმოების გაცნობა.

⁂ საბოლოოდ გადასწყდა, რომ ალექსანდრეს ბაღიდან ვარანცოვის ძეგლამდე ქუჩა დაიფინოს ოთხ-კუთხიანის ქვით, აგრეთვე მეიდანი ძეგლის გარშემო და მიხეილის პროსპექტი ნემეცების ქუჩამდე. ხარჯი ამ მოკირწყლვისა უნდა გასწიოს უსახელო საზოგადოებამ, თანახმად ხელშეკრულობისა ქალაქთან. სასახლის ქუჩაკი დაიფინება ქალაქის ხარჯით ასფალტით ბარიათინსკის დაღმართამდე, ხოლო იქიდან სახაზინო თეატრამდე ოთხ-კუთხის ქვით, ოსმალეთიდან მოსულით.

⁂ ჩვენ გვწერენ მცხეთიდან, რომ აქაურს სამთავრო მონასტერში, საცა დედათა სკოლაა, წყალი უნდათ გამოიყვანონო. აუზისათვის ნავარაუდევია 80 მან. ხარჯი. ამ ხარჯის შესამცირებლად უფიქრნიათ იმ ძველის ძველ კოშკის დანგრევა შუა-წელამდე და აუზად გადაკეთება, რომელიც მონასტრის შიგ შუა ეზოშია. სასურველი-კია, რომ ეს ძველის-ძველი ნაშთი ხელ-უხლებელი დარჩეს. წარსულის ნაშთის შემუსვრა თვით მთავრობისაგანაც არის აღკრძალული.

⁂ გუშინ-წინ, 22 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლის პატრონთაც დროზედ არ შეიტანეს ბანკის ხვედრი გადასახადი. სულ გასასყიდად დანიშნული იყო 34 მამული. აქედგან გაიყიდა მხოლოდ 15 მამული. ტ. შოშიაშვილისა (გაიყიდა—[illegible] ძამულზედ ირიცხებოდა 2,850 მ. 68 კ., შემოსატანი გარდასახ.—127 მ. 73 კ.), ვ. ს. არუთინოვისა (ბანკის თავნი ვალი 6,203 მ. 13 კ., შემ. გარდ.—235 მან. 40 კ., გაიყიდა—6,600 მან.), გ. ჯიშკარიანისა (თავ. ვალი—2,363 მ. 9 კაპ., შემ. გარდ.—103 მ. 9ა კაპ., გაიყიდა 4,800 მ.), ა. მუსაელიანცისა (თავ. ვალი 10,902 მ. 5 კაპ., შემ. გარდ.—454 მ. 18 კაპ., გაიყ.—14,614 მ.), ივ. ს. არუთინოვისა (თავ. ვალი 3,506 მ. 39 კაპ., შემ. გარდ. 138 მ. 22 კაპ., გაიყიდა—3,720 მან.), გ. ხარაზოვისა (თავ. ვალი 8,225 მ. 59 კაპ., შემ. გარდ. -337 მან. 33 კაპ., გაიყიდა—8,621 მ.), ძმათა ბაიდრელოვებისა (თავ. ვალი 21,749 მ. 7 კ., შემ. გარდ.—867 მ. 51 კ., გაიყიდა—23,360 მან.), ს. არჯევანიძისა (თავ. ვალი 1,197 მ. 16 კ., შემ. გარდ.—60 მან. 13 კაპ., გაიყიდა—2,677 მ.), ძმათა სიმონოვებისა (თავ. ვალი 10,575 მან. 77 კ., შემ. გარდ.—396 მან. 48 კაპ., გაიყიდა—11,545 მან.), ნ. გ. არუთინოვისა (თავნი ვალი 2,582 მ. 6 კ., შემ. გარდ.—106 მ, 59 კ., გაიყ.—2,748 მ.), სედ. არაქელოვისა (თავნი ვალი 3,564 მ. 64 კაპ., შემ. გარდ.—162 მ. 64 კაპ., გაიყიდა—3,760 მან.), ა. ბათიაშვილისა (თავნი ვალი 3,544 მ. 64 კ.), შემოს. გარდ.—151 მ. 90 კ., გაიყიდა—4,020 მან.), პ. ხალიაპინისა (თავნი ვალი 7,394 მან. 35 კაპ., შემოსატანი გარდ.—317 მან. 51 კაპ., (გაიყიდა—10,000 მ.), და ი. პანჩენკოებისა (თავნი ვალი 12,240 მან. 86 კაპ., შემ. გარდ. 506 მ. 76 კაპ., გაიყიდა—13,101 მ.). ნ. ა. ესიპოვისა (თავ. ვალი 7,794 მ. 34 კაპ., შესატანი

ფელეტონი

—

ნახული და გაგონილი.

XI

ვარძია.

ვარძიის ნატამალს გუშაგობას და პატრონობას უწევს არქიმანდრიტი მამა სიმონი, ერობაში თავადი წულუკიძე. დღეს ქართველობას ბერობა თითქმის აღარა გვყავს. იგი წარსულს რეჟიმს სამუდამოდ თან გაჰყოლია.

მამა სიმონი ახოვანი ტანისაა, ლმობიერის სახისა, ძალზედ მოხუცი, მაგრამ მხნე და სიცოცხლით სავსე. ეტყობა, დიდად უყვარს ვარძია. აქ შიმშილს ამჯობინებს სხვაგან განცხრომა-ფუფუნებას. მამა სიმონი ძველის ტიპის ბერია, რუსული სწავლა-განათლება არ მიუღია, საუბარი სასოებიანი და ქართული მარილიანი აქვს.

არქიმანდრიტს ორი მორჩილი ჰყავს, ვგონებ ერთი იმერია და მეორე—ამერი. ერთი პატარა ბიჭიცაა, ასე 12—13 წლისა, ცოცხალი როგორც ჩიტი და მარდი როგორც ნიბლია. მამა არქიმანდრიტს ხელზე ემსახურება, ჩაის უკეთებს, სუფრას უშლის და ქვეშსაგებს უმზადებს. ბავშვი იმერეთიდანაა ჩამოყვანილი. მისი წკრიალა ხმა ზარივით გაისმის ამ მინგრეულ-მონგრეულ მღვიმეთა შორის. მარტოოდენ ეს ბალღია სიცოცხლის წარმომადგენელი და გამომსახველი. დიდ ხანს გასძლებს თუ არა ეს მალხაზი ქოჩორა ჩიტი სიცოცხლეს მოკლებულ სავანეში, ძნელი გამოსაცნობია.

არავითარი სალსარი ცხოვრებისა მამა სიმონს კრებულით არა აქვს. დღესაც არ ვიცი, რითი საზრდოობს დიდებულისა და სახელოვანის ვარძიის გუშაგი. ქონება არავითარი, არც მოძრავი, არც უძრავი. კრებულს ჰყავს ერთად ერთი სახედარი ფქვილისა და შეშის საზიდავად. ჰყოლიათ ერთი ცხენიცა და, რადგან ვერ გამოუკვებიათ, გაუბარებიათ.

ცოტაოდენი შეწირულობა მოუგროვებია მამა სიმონს და განუზრახავს წისქვილი დაებრუნებინა მტკვარზე. სამი ქვა კიდეც მოიტანა ქუთაისიდგან, რუ გაათხარა დიდის წვალებითა და ტანჯვით, მაგრამ წისქვილი ჩემს იქ ყოფნის დროს წესიერად ვერ მუშაობდა, წყალი ღონივრად ვერ სცემდა და წისქვილს უგემურად გაჰქონდა ღრიტინი. მაშასადამე, ეს განზრახული წყარო საზრდოს შოვნისა ჯერჯერობით დაშრეტილია.

ვარძიას ძველად, რაღა თქმა უნდა, დიდი მამული ექნებოდა. დღეს შიშველტიტველია ვითარცა ხე ცივს და ყინულიან ზამთარსა. ჟურნალ „მოგზაურში“, ნომრები: VI და VII, 1901 წ., კაბადონი 536, აი რასა ვკითხულობთ: «ვინმე მესხი გვარამაძე ვარძიის შესახებ შემდეგსა გვწერს: კარწახი (ახლა სომხები სცხოვრობენ), ზედა-ვარძია და ამათი მოყოლება მტკვრის გაღმა-გამოღმა მხარი, სულ ვარძიის შეწირულობა ყოფილა, ვენახებით, ბოსტნებით და ბაღჩებითა; მეფის სამსაჯულოსთან სამწირველო ტრაპეზზედ ყოფილა წარწერილი მხედრულად, მაგრამ მტრებს ამოუმტვრევიათ, რამდენიმე სტრიქონი ნაწყვეტ-ნაწყვეტი კიდევ ეტყობა. ამის გუჯარიც ყოფილა. ეს გუჯარიც ინახებოდა პატარა თონეთელ თევდორე მღვდლის მანველიძის სახლში; ადრე კოთელიის მღვდლად ყოფილა. 1846 წ. მღვდლის შვილმა სვიმონ მანველიძემ გოგაშნელებს (სოფელი გოგაშენი მდებარეობს ვარძიის პირის-პირ, მტკვრის მაღალ კიდეზედ) გარდასცა ეს გუჯარი სამაგიეროდ ბედაური ცხენი აჩუქეს გოგაშნელებმა, ხოლო სიგელი ბლაღოჩინს გ. გამრეკელს მიართვეს სიხარულითა. ერთს ხანს მიწერ-მოწერა გაიმართა, მაგრამ მალე ჩაყრუვდა საქმე. ბლაღოჩინი გამოიცვალა და საქმე ბლაღოჩინოში დარჩა, თუ ტფილისის საექსარხოსოს არქივში, აღარა ისმის რა. ამბობენ, სომხის კარაპეტ ეპისკოპოსს შეუსყიდია იგი 18,000 მანეთად. ვისგან შეუსყიდია, ეგ კი არ არის ცხადი».

სიტყვა სიტყვით ამოვწერეთ «მოგზაურიდან» ვინმე მესხის ნათქვამი. შეიძლება ეს მართალი იყოს, შეიძლება ტყუილიც. ამას კარგი და რიგიანი გამოკვლევა უნდა. ურიგოს არ იზამენ ჩვენის წარსულის მკვლევარნი, კარგად მოჩხრიკონ დაკარგული სიგელი, ან დანამდვილებით შეიტყონ მისი თავგადასავალი.

კარაპეტა ეპისკოპოსი კარგადაა ცნობილი ისტორიაში. პასკევიჩის დროს მისის წინამძღოლობით დიდ ძალი სომხობა გადმოსახლდა არზრუმიდან და დაბინავდა მესხეთის ვერანა სოფლებში. ორი ქალაქიც: ახალციხე და ახალქალაქი გადმოსულებმა დაიკავეს. კარაპეტა ეპისკოპოსმა საეკლესიო ფულით წმ. მაცხოვრის სახელობაზედ (ეს ეკლესია ახალციხეშია) იყიდა ჯავახეთში სოფლები: კარწახი, სულდა, ყური-დადეში და სხვა, გოგ-დალის საძოვარი მთები. ამ ჟამად ჩამოთვლილ სოფლებსა და მთას შემოაქვს წელიწადში 22,000 მან. კერძოდ კარწახიდან, სულ ცოტა, შემოვა 5,000—6,000 მანეთი. ეხლა ეს მამულები მთავრობის განკარგულებაშია.

ეპისკოპოსმა კარაპეტამ იაფად იყიდა მამულები, სულ რაღაც 2,500 მან. გრამოტები რომ იწერებოდა, სულდელები ახირდნენ, სოფ. სულდის წინანდელი ბატონი ბეგი, ან აღა არა ყოფილა, «მუჟიკი» იყო ჩვენსავითა და ამის გამო სომხის ეკლესიას, როგორც «მუჟიკის» მემკვიდრეს, ნება არა აქვს თავისუფალი მამული დაიტოვოს და სულ ჩვენ უნდა მოგვეცეს «ნადელში», რაც სულდის ფარგალშია მოქცეულიო. წინანდელი ბატონი ბეგი რომ ყოფილიყო, კანონით გლეხების ასეთს პრეტენზიას ლაგამს ამოსდებდნენ. სულდელებმა თავისი გაიყვანეს, სენატმა სამართლიანად იცნო მათი ახირება, წინანდელი მფლობელი ბეგად არ ალიარა და ბრძანა: მიეზომოს სულდელებს, თითო სულზე ხუთ-ხუთი დესეტინა სულდის ვერანებიდანაო.

ეს ამბავი იმას გვასწავებს, რომ ვინ იცის, ეგები სულდის ვითომდა მებატონემ სხვისი სამკვიდრო მიჰყიდა ეპისკოპოსს კარაპეტას. სოფ. კარწახი მოსამზღვრეა სულდისა. უკეთუ ამ ეჭვს რაიმე საბუთი აქვს, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ ჭკვიანი და გონიერი წინამძღოლი გადმოსახლებულ სომხებისა, ეპისკოპოსი კარაპეტი შეეცდებოდა როგორმე ხელში ჩაეგდო კარწახის სიგელი. ფულსაც, რაღა თქმა უნდა, არ დაიშურებდა ამ საქმისათვის. მართალია, სიგელის პოვნას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექმნება ვარძიის მონასტრისათვის, მაგრამ ჭეშმარიტებისა და სიმართლის აღდგენა ცოტა რამედ არა ღირს. ვარძიის გუშაგი მოხუცი არქიმანდრიტი სიმონი კარწახის საამოდ გაშლილ ველმინდვრებს რომ მოავლებს თვალს აგარის მწვერვალებიდან, მელანქოლიურად გაიფიქრებს: ასე წარმავალია დიდება ქვეყნისაა! გუშინ ეს ველ-მინდორი ვარძიისა იყო და დღეს კი სხვას უჭირავსო. შემდეგ მხურვალე ლოცვითა და მარხულობით დარდს გადიყრის და მიუტევებს, ვითარცა დიდ-ბუნებოვანი ადამიანი, უკეთურს ცოდვასა და შეცდომილებას, სიავესა და სიხარბეს.

რითი საზრდოობს ვარძიის ეხლანდელი კრებული, ძნელი გამოსაცნობია. მონასტ

გარდ.—299 მ. 76 კ., გაიყიდა—10,403 მან.). დანარჩენის 19 მამულის გასასყიდად ხელმეორე საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 12 ივლისისათვის. შაბათს დანიშნულია სოფლის მამულების საჯარო ვაჭრობა.

⁂ ჩვენ მივიღეთ ჩვენის ახალგაზრდა ბელლეტრისტის ია ეკალაძის (თომაანთ კობას) თხუზულებანი, გამოცემა, «ტოროლასი». წიგნი საკმაოდ მოზრდილის ზომისაა, სუფთადაა დაბეჭდილი, შეიცავს 430-მდე გვერდს და ჰღირს ერთი მანეთი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათიც. ამ წიგნში მოთავსებულია თითქმის ყველა ნაწარმოები ია ეკალაძისა, რაც დღემდე იყო დაბეჭდილი სხვა-და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ამ წიგნს ახლო მომავალში საბიბლიოგრაფიო შენიშვნასაც ვუძღვნით.

⁂ 21 ივნისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, კვირაცხოვლის გორაზედ, ჩხუბი მოუვიდათ თელავის მცხოვრებს პეტრე დოვლათოვსა და მეეზოვეს პეტრე სააკაძეს, რომლის დროსაც პირველმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა მუცელში სააკაძე. დამნაშავე შეიპყრეს, ხოლო დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და აღმოჩნდა, რომ ჭრილობა საშიშია.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ბრიანსკის ქარხნებს წყლის მილები ქალაქის წყლისსაყვანისათვის.

⁂ კავკასიის მსროლელთ მე-2 ბატალიონის უფროსი სთხოვს ქალაქს, დაუკლოს წყლის ტარიფს $^1/_{10}$ კ. ვედროზედ საზაფხულო აღლუმების დროს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ტფილისის ქალ. მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, განკარგულება მოახდინოს, რომ მიხეილის პროსპექტსა, რიყის ქუჩასა და სხვა ქუჩებზედ ბელგიის უსახელო საზოგადოების-მიერ დაყრილი ქვები აიღოს საზოგადოებამ, რადგანაც მიმოსვლას ძლიერ აფერხებსო.

⁂ გუმბრის მცხოვრებმა არუთინ თუდატიანცმა განუცხადა პოლიციას, რომ მისი შვილი ჭაიკი, 15 წლისა, 13 ივნისს გავიდა სახლიდგან და მას შემდეგ არ დაბრუნებულა შინაო.

⁂ მოგვივიდა მე-2 №-რი 1-ლ ტომისა „Извѣстія закавказскаго статистическаго комитета“, დ. პაგირევის რედაქტორობითა და სტატისტიკურ კომიტეტის თავმჯდომარის გენ.-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს განკარგულებით გამოცემული. კრებულში მრავალი საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია მოქცეული.

⁂ ქუთაისიდგან „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ: „შაბათს საღამოს, როდესაც ბულვარზედ სეირნობდა ნოქარი დ., თავს დაეცა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, ჩოხაში გამოწყობილი, და დასჭრა დანით ფეხში. დამნაშავე ცდილობდა გაქცეულიყო, რადგანაც პოლიციელი არსადა ჩანდა, მაგრამ გარეშე ხალხმა დაიჭირა და გადასცა პოლიციას. დაჭრილი თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს. მეორე დღეს დ—ს საცოლეს გაუგია, რომ მისი საქმრო მძიმედ არის დაჭრილი და კარბოლის სიმჟავით თავი მოუწამლავს.“

ჩვენებური ამბები

ს. ქარელი (გორის მაზრა). ამას წინად ვწერდი, რომ ყველა სხვა-და-სხვა საჭიროებას მოკლებულებს, საავადმყოფოც არა გვაქვს მეთქი. რატომ, რა მიზეზია?! ნუ თუ სოფელი ქარელი იმდენად რიცხვ მცირე სოფელია, რომ არ ღირდეს მისთვის ექიმის დანიშვნა, ან იქმნება ხალხი არა ჰგრძნობდეს მკურნალობის საჭიროებას!! ამას ვერც ერთს ვერ დავასახელებ საავადმყოფოს უქონლობის მიზეზათა: ჯერ მარტო ს. ქარელში, რომ ვიანგარიშოთ ყველა წოდების, ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი, თითქმის 4000 სულამდის შესდგება და, თუ ამას მიუმატებთ სხვა მახლობელ სოფლებსაც, რომელთაგან ზოგი ქარელის საზოგადოებას ეკუთვნის და ზოგიც სამისა ან ოთხის ვერსის მანძილზედ მდებარეობს, მაშინ შესდგება სულ ცოტა 30,000 სული. ამდენი ხალხი დატოვებულია უმეცარ და ცრუ ექიმების და მკითხავების ანაბარად. რომ ექიმი საჭიროა, თვით ხალხის უმრავლესობა ჰგრძნობს და რამდენჯერმე თავადმა ციციშვილებმა კიდეც დაადგინეს თავიანთ კრებაზედ ექიმის მოწვევა და ამ საჭიროებისათვის ათასი მანეთის გადადება, ამ ფულს აქაურ აფთიაქის პროვიზორიც უმატებდა 200 მანეთს და ამ ნაირად ექიმის ჯამაგირი სდგებოდა 1200 მანეთი. ამ ფულით, ვგონებ, რიგიანს ექიმს იშოვიდნენ, რადგანაც კერძო ავადმყოფებისაგანაც შემოსავალი ექნებოდა. მაგრამ ეს სიმპატიური დადგენილება დღემდის ქაღალდზედ არის დარჩენილი და მის განხორციელებისათვის არარავინ ჰზრუნავს; ხალხი კი ისევ იმ მატყუარა-უვიც მკურნალების ხელში რჩება, რომელთაც ხელთ უპყრიათ ბასრი დუქარდი და გულუბრყვილო ავადმყოფის პატრონს ხორც-კანამდის კრეჭავს, ხოლო ავადმყოფს აბრაამის წიაღსა შინა ისტუმრებს.

რამ შეუშალა ხელი ამ სიმპატიურ დადგენილების განხორციელებასა? რამა და ჩვენმა ქართველურმა ერთმანეთში შეუთანხმებლობამ: ბ.ბ. ციციშვილები ყველანი აქაურნი მცხოვრებელნი არ არიან. ზოგნი ქ. ტფილისში სცხოვრობენ, ზოგნიც კიდევ სხვა საკმაოდ დაშორებულს სოფლებში და, რადგანაც, სიშორისა გამო, აქაური ექიმი იმათ ვერ გამოადგებათ, ამისთვის ბევრმა უარი განაცხადა შემდეგ ამ 1000 მანეთის გადადებაზედ და, რადგანაც თანხა შემცირდა, საქმეც მოიშალა. გლეხ-კაცობა როგორიღა თვალით უცქეროდა ამ საქმეს? იმისათვის დოქტორი, ფერშალი, დალაქი და მკითხავი სულ ერთია. ექიმის მოწვევა რომ გაუხსენო, მაშინვე ამას გეტყვის: ეჰ, დალოცვილო, ამ სიღარიბეში და გაჭირებაში რაღა მაგ ხარჯის მომატება გვინდაო. უნდა ვეცადოთ ხალხი გავაღვიძოთ: რამდენი ყმაწვილი ექიმია, ულაგოთ არის და მშობლებს აწევს ტვირთად, ქალაქიდან ფეხის გამოდგმა ეზარებათ, რომ თავიანთ უმცროს ძმებს დახმარება აღმოუჩინონ და თვალები აუხილონ, თითონაც ისარგებლონ და ხალხსაც სარგებლობა მოსცენ

წალკოტელი.

—

გურია. გასულ წლების მოუსავლობით თუ სხვა რამე მიზეზით ნივთიერად გაღარიბებულ გურულებს ერთად ერთი იმედი ჰქონდათ დარჩენილი, რომლითაც აპირებდნენ ცოტათი სულის მობრუნებას და ამ წელიწადის ნახევრად გადატრევას,—ჯერ იმედი აბრეშუმის პარკის კეთებაზედ იყო დამყარებული, რომელიც კარგად არის ჩვენში გავრცელებული და ერთ შემოსავლიან წყაროდ ითვლება; ამიტომაც წელს, რადგან ნივთიერად ვერაფერ სასურველ მდგომარეობაშია გურიის ხალხი, იშვიათად დარჩა ისეთი ოჯახი, რო აბრეშუმის თესლი არ შეეძინოს, აბრეშუმი არ მოეყვანოს. დღემდი თუ მარტი ქალებს ჰქონდათ მინდობილი «ყაჯის კეთება», წელს კაცებმაც მიჰყვეს ხელი ამ საქმეს, რომ რაც შეიძლება უფრო ბევრი აბრეშუმი ეკეთებინათ. ისეთებმაც კი განიზრახეს აბრეშუმის კეთება, რომლებსაც საკუთარი ერთი ბჟოლის (თუთის) ხეც არ მოეპოვებოდათ და ნაყიდი ბჟოლით აკეთებს, რადგან დაიმედებულნი იყვნენ, რომ მაინც მოსაგებში იქნებოდნენ და თითქმის ყველა მეაბრეშუმე შეიქმნა და ამის გამო ბჟოლიც ძალიან გაძვირდა: თითო პატარა ხე 1-2 მანეთად იყიდებოდა. დღე და ღამ დარბოდნენ, ქალი თუ კაცი, ერთი დღის სავალზე მიდიოდნენ. მაგალითად: ქობულეთიდან, ციხის-ძირიდან და ბათუმიდგან მიჰქონდათ ბჟოლი, ახლო-მახლო რომ აღარ იშოვებოდა, ასე რომ წელს, შედარებით სხვა წლებთან, თუმცა ბევრი სულ მთლად მშრალზე გაცურებული დარჩა, რადგან თესლი ცუდი შეხვდა და არ ივარგა, ბევრმა უბჟოლობის გამო გადაყარა მოზრდილი ჭიები, მაგრამ მაინც ბევრი აბრეშუმის პარკი მოიყვანეს აქეთ წელს და კიდეც დაიწყეს გასაყიდათ შემოტანა ოზურგეთში, რომლის გაყიდვითაც შემოსულ ფულის დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“, რომ იტყვიან, ისე მოუვიდათ ჩვენთა მეაბრეშუმეთაც: გასულ წლების დაჩვეულნი, თუ ფუთ პარკში 18—20 მანეთის აღებას ელოდნენ, წელს 9—10 მანეთს ძლივს იძლევიან მყიდველები. ასეთმა ფასის სიმცირემ ვერაფერ სანუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა მეაბრეშუმე ხალხი, ამიტომ, რომ ვინც ნაყიდი ბჟოლით აკეთა აბრეშუმი, ეს მცირე ფასი დანახარჯსაც ვერ გაუსტუმრებს და შრომამ ხომ ტყვილად გაუარა? და ესეთები ხომ უმეტესი იყო მეაბრეშუმეთა შორის და არც დანარჩენებისათვის არის ხელ-საყრელი, რომ ამდენ ჰაპან-წყვეტაში ასე ცოტას იღებს, რომლებსაც, თუ წვრიმალ ხარჯებს ჩავსთვლით, ზედ-მეტი ბევრი არაფერი დარჩებათ... ამგვარად, ამ ერთად ერთმა იმედმაც უიმედობისაკენ გაისეირნა, თუ მართლა პარკის ფასმა მეტზე აღარ აიწია, რაც ზევით მოვიხსენიეთ, და, როგორც ამბობენ, ვერაფერ სასიამოვნო კვალს დასტოვებს ხალხში... ჩვენ არ ვიცით, რას მიეწერება ესე აბრეშუმის ფასის სიმცირე. თუმცა ამბობენ: შარშანდელი პარკიც არ გაყიდულა ჯერ საზღვარ-გარედ და ამან გამოიწვიაო, მაგრამ, არ ვიცით, რამდენად მართალია: არც ის ვიცით, ეს ფასის სიმცირე მარტო აქ არის, თუ სხვაგანაც ასეა, რაიცა სასურველია, გავიგოთ...

წელს «გურიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა» პარკს ყიდულობს ოზურგეთში, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სხვას „კონკურენცია» გაუწიოს და აბრეშუმის პარკის ფასი ასწიოს, უფრო ნაკლებათ ყიდულობს, ვიდრე კერძო ვაჭრები!... ესეც ბედია, მა რა ჯანაბაა?!.

ყუყუ-ადა.

რუსეთი

—

ვინმე ბეზობრაზოვი ამტკიცებს გაზ. «ნ. ვრ.»-ში, რომ არ უნდა გვეშინოდეს დღევანდელის ეკონომიურ გაჭირვებისაო. ომი გათავდება და გაჭირვებაც გაივლის, უკეთესს მდგომარეობაში ჩავცვივით, ავინაზღაურებთ დღევანდელს დანაკლისსაო. ყირიმის ომი ვიდრე გათავდებოდა, ასეთი გაჭირვება იყო, მაგრამ გათავდა ომი და დიდი განცხოველება დაეტყო წარმოებასა და მრეწველობას. ასევე მოჰხდა რუს-ოსმალოს ომის დროსაც. რა საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ახლანდელ ომის შემდეგაც ეკონომიური ცხოვრება რუსეთისა არ გამოკეთდება, უცებ არ იფეთქავს და ახალის ძალ-ღონით არ დაადგება წარმატებისა და გაძლიერების გზასო. ასე მჯელობს ბ-ნი ბეზობრაზოვი და ურჩევს თავიანთ თანამემამულეთ, გამხნევდნენ, გული არ გაიტეხონ. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ნარკვევი

—

გაზეთ „**Черноморскій Вѣстникъ**“-ის ამ წლის მე-138 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

«პარასკევს, 17 ივნისს, ბათუმის ოლქის სოფლის ქედის ორკლასიანს სამინისტრო სკოლაში მოხდენილ იქმნა საჯარო გამოცდა. გამოცდა დაიწყო ნაშუადღევის პირველს საათსა და დასრულდა საღამოს ხუთს საათზედ. გამოცდას დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნი, მაჰმადიანთა სასულიერო წოდება, ადგილობრივი ბეგები და სხვ.. გამოცდის შემდეგ ქვემო აჭარის ნაწილის უფროსად ნამყოფმა მაიორმა ტუფან-ბეგ შერვაშიძემ მადლობა გადაუხადა სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ მკურნალს და მამართა დამსწრე ხალხს ქართულად და თათრულად. თავის სიტყვაში ბ-ნმა შერვაშიძემ დაასურათა სახალხო მასწავლებლის შრომის მნიშვნელობა, განათლების საჭიროება, რუსულის სკოლის მნიშვნელობა და მის განვითარებისათვის ზრუნვა ქვემო აჭარაში და, ბოლოს, ის აზრი დაასკვნა, რომ საჭიროა მოწაფეთათვის საზოგადოება დაარსდესო. ბ-მა შერვაშიძემ პირველმა მისცა თავისი შვილები რუსულს სასწავლებლებში (ერთმა კურსი დაამთავრა ბათუმის საქალაქო სკოლაში, ორი სწავლობს ბათუმის გიმნაზიაში და ქალსაც ამზადებინებს დედათა გიმნაზიისთვის)... საუკეთესო მოწაფენი დაჯილდოებულ იქმნენ წიგნებით. გამოცდის გათავების შემდეგ დამსწრეთ მსჯელობა ჰქონდათ ქვემო აჭარაში სკოლების გავრცელების შესახებ. უნდა დაარწმუნოს ადამიანმა ადგილობრივნი მკვიდრნი, რომ რუსული სკოლა ხელს არ ახლებს სარწმუნოებისგრძნობასა. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება რუსულმა სკოლამ მაჰმადიანებზე გავლენა იქონიოს.»

ჩვენის მხრივ, არ შეგვიძლია ჩვენს თანამოძმე და თანაერთ ტომს ქვემო აჭარაში მცხოვრებ ქართველს მაჰმადიანებს მათდამი წრფელის სიყვარულით აღსავსე გულით არ მივულოცოთ ქედის სკოლის განვითარება, მისს სასურველს ნიადაგზე დაყენება... ფრიად სასიხარულოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა თანამოძმე ქართველმა მაჰმადიანებმა გამოიღვიძეს, თანამედროვე ცხოვრების ალღო შეიგნეს და სწავლა-განათლების შუქი შეიყვარეს... იმთავითვე დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ასე მოჰხდებოდა... ძველი მესხეთი,—სადაც ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ, სამშობლოა უკვდავ ქართველთა: ექვთიმე მთაწმინდელისა, შოთა რუსთაველისა, იოანე შავთელისა და სხვა მრავალ შესანიშნავ ქართველისა... ამ მხარეს დიდებული, სახელოვანი და სასიქადულო წარსული აქვს... ასეთის წარსულის მქონე ერს სრული უფლება აქვს საუკეთესო მყობადის იმედი იქონიოს... ცოცხალ ბუნების და ღრმა ნიჭის და დაკვირვების მქონე ქართველი მაჰმადიანები, თუ კი გულს დააყარებენ თავისს სამშობლოს, გულს არ აიცრუებენ თავისს მიწა-წყალზე, სწავლა-განათლების მოტრფიალენი იქმნებიან და თავისს თანამოძმე ქართველებთან ექნებათ სულიერი შინაგანი კავშირი, დამყარებული საერთო დედა-ენასა და წარსულზე, ბევრს რასმე შეიძენენ რუსულ სკოლაში, თუ კი როგორც მოსალოდნელია, ეს სკოლა არ შეეხება მათის სარწმუნოების გრძნობას და შეასწავლის მათს შვილებს მშობლიურ ქართულს ენასთან ერთად მათთვის საჭირო რუსულს სახელმწიფო ენასაც.

„ივერიის“ ფოსტა

—

მ. ე. მ—ლხ. თქვენი წერილი მივიღეთ.

რის მიდამო გოხები, სათიბ-საძოვარნი გამიჯვნის დროს ბაიბურთლებმა და ბაგრატუნოვებმა (არზრუმიდან არიან მოსულნი) «კანონიერის წესით» დაისაკუთრეს. მონასტერს დარჩა მხოლოდ რაღაც 50—60 დესეტინა გახრიოკებული კლდეები. ცხვრის გასასეირნებლად თუ ივარგებს ეს კლდეები, სხვაფრივ რა ჰყრია მათში. შემოსავალი ბევრი-ბევრი 30—40 მან. იყოს წელიწადში. კრებულს ეს შემოსავალი ვერ დააპურებს, თუ სული წმიდა არ მოეშველა.

ვარძიას რკინის რგოლივით გარს არტყია მაჰმადიანობა; ნეტა ოსმალონი მაინც იყვნენ, ან ჩვენი აჭარლები, ვინ რას იტყვის კიდევა. უვარგისი წარმომადგენელნი მაჰმადიანობისა: ქურთნი, თარაქამა, მუტრუფნი, ბოშანი გაბნეულან ვარძიის გარშემო. ქართველთა მარტო ოთხი სოფელია: აფნია, გოგაშენი მტკვრის მარჯვნივ, აგარა და ზედათმოგვი—მარცხნივ. ეს სოფლები ერით მცირენი არიან, ღარიბნი და დაჩაგრულნი, უნიადაგონი და განუვითარებელნი. ამათ რა უნდა გაიმეტონ მონასტრისათვის? მაინც და მაინც ისევ ისენი თუ ჩამოვლენ ათასში ერთხელ ვარძიას, ილოცვენ და შეიძლება ორიოდე აქაური ქადა-ნაზუქი დაუტოვონ კრებულს. (ქართლურ შესანიშნავ ნაზუქს მიჩვეული ვერც კი მიეკარება აქაურს ერბოთი გაქლინთულს და ურძეო ნაზუქს). მორჩილნი ალბად მათხოვრობენ, თეფშით აგროვებენ ხორბალს და ისე თუ იკვებებიან. მთავრობა მონასტერს არაფერს ულუფას არ აძლევს, ალბად შტატ გარეშე თუა დარჩენილი, როგორც სხვა ჩვენი მრავალი ძველად შესანიშნავი მონასტერი.

ამ სიღარიბესა და უილაჯობას რომ ვუცქეროდი, ფიქრმა უნებლიედ შავი ზღვის პირას გადამიტანა. მოკლედ თვალი მოვავლე ახალ-ათონის ისტორიას. ჯერ ისევ უკანასკნელ რუს-ოსმალოსთან ომამდინ ძველ ათონიდან მოვიდნენ ბერები და შეუდგნენ მონასტრის აშენებას. ომის დროს ოსმალოთ და აფხაზებმა ბერების ნაცოდილარი მიანგრ-მოანგრიეს და ქვა ქვაზე არ დასტოვეს. დასრულდა ომი. ბერები ისევ მოვიდნენ და უფრო მხნედ შეუდგნენ მოღვაწეობას, მაგრამ რას გახდებოდნენ მარტო მხნეობით, თუ დახმარებაც არ ყოფილიყო. დახმარებაც მთავრობამ აღმოუჩინა. ნამესტნიკად მაშინ ბრძანდებოდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა რუსთა კოლონიზაციას ამიერ-კავკასიაში. ეს საქმე პირველად ნამესტნიკმა თავადმა ვარანცოვმა დაიწყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად დასრულდა მისი განზრახვა-მეცადინეობა. გადმოსახლებულნი გაქართველდნენ. განსვენებული ვ. ველიჩკო რომ შეუდგა ამ საქმეს ჩვეულებრივის მხნეობით და გაბედულობით, ბევრს ეგონა ამან დაიწყო პირველად ეს საქმეო. არა, დედა აზრი თ. ვარანცოვისაა და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, ხოლო ველიჩკომ მათი შეცდომანი არ გაიმეორა, ესე იგი ღონიერ ჯგუფებად უნდა დაესახლებინათ კოლონისტები, უსათუოდ თან მოყოლილი მღვდელი ჰყოლოდათ, ეკლესია აეგოთ და სამრევლო სკოლა გაემართათ. ახალშენელებს ცოლებიც თან უნდა მოეყვანათ, თორემ თუ ჩვენი თინია-დარეჯანები გაერეოდნენ ახალშენელებში, «საქმე წახდებოდა», იმერულად რომ ვსთქვათ.

მაგონდება ერთი სასაცილო ამბავი. ხალხის ყრილობას დავესწარი. მოხელეებს ირჩევდნენ, ყურთა-სმენა წაიღეს, ისე ღრიალობდა ხალხი: გიო, გიო გვინდაო. ვინაა ე გიო, ერთი თვალით გვაჩვენეთო, უბრძანეს უფროსებმა- მოიყვანეს.

— ბიჭო, ვინა ხარ?

— გიო, შენი ჭირიმე.

— გვარი?

— მარტინენკო.

სახტად დავრჩი. ჩემ წინ გამოჭიმული იდგა ტიპიური ქართლელი ტეტია, შალის ჩოხით, წინდა-ქალამნით.

მართალია, გიო მარტინენკო ჰროლა იყო, მაგრამ განა ცოტაა ჰროლანი ჩვენში? ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ისეთი ჰროლაა, რომ მაგისთანა «ანტიკ» ჰროლას შიდა რუსეთშიაც ვერ იპოვნი.

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ ახალს ათონს უხვად უწყალობეს სახნავ-სათესი, მდინარენი, მთანი და ტყენი; უბოძეს აგრეთვე მონოპოლია თევზის ჭერისა შავ ზღვაში დიდ მანძილზე. მკაფიოდ აღარ მახსოვს, რამდენი რა იყო, მამა დეკანოზ ვოსტორგოვის ფელეტონები, გაზეთ «კავკაზში» დაბეჭდილი, ხელთ არა გვაქვს ამ ჟამად. მლოცველიც დიდ ძალი ჰყავს ათონს და გაივსო სიმდიდრით.

კარგა ხანია, სიჭაბუკის დრომ, როცა რელიგიური გრძნობა ცხოველია, განვლო, და მას შემდეგ ეკლესია-მონასტრებისთვის შესაწირავი არ გამიღია. როგორღაც შემთხვევა არ გვეძლეოდა. ვარძიის კრებულის სიღარიბე და სილატაკე რომ ვიხილე, გულმა აღარ მომითმინა და ორჯელ, ზედი-ზედ, შესაწირავი მივართვი. ეს საქმე ისე ბუნებრივად, კანონიერად და სამართლიანათ მეჩვენა, რომ ერთს წუთსაც არ მიყოყმანია. ვგონებ უპირველესი მოვალეობაა ყოველის ქართველისა გაიღოს მცირე რამ იმათ შესანახად და საზრდოთ, ვინც ესეთის სიყვარულით, თავგამოდებით და ბედის წინაშე მორჩილებით დღე და ღამ გუშაგობენ დიდებულ თამარის საყვარელ ციხე-ქალაქსა და მონასტერსა. იქ, სადაც ფორთოხალის და ლიმონის ბაღებს ჰმართავენ, ან იხვთა და გედთა საჭყუმპალაოდ მარმარილოს აუზებს აგებენ, შეიძლება არავითარმა სხვა ემოციამ არ შეგიპყროს, გარდა ესტეტიკურისა: რასაკვირველია, მაშინ საბერო-სამონასტრო შესაწირავს ადგილი აღარ ექნება და შეგიძლიანთ არხეინად ღონიკ-შემოყრილმა ისეირნოთ და, მშვენიერებით დამტკბარმა, თუ გუნებაზე მოხვალთ, კიდეც ილილინოთ.

მამა სიმონს ჰყვარებია ქართულის კითხვა. ჩემსობას «ივერიას» მოვკარი თვალი არქიმანდრიტის სენაკში. საწყენია, თუ ფულით იწერდა. საიდან უნდა გაიღონ ერთი თუმანი? კარგს იზამს რედაქცია, თუ უსასყიდლოთ გამოუგზავნის გაზეთს. ნუ დაივიწყებს გაზეთი, რომ ეს სამი-ოთხი ქართველი-ღა დარჩა ძველის საქართველოს წარმომადგენლად ამ გამაჰმადიანებულს და გასომხებულს მხარეს. ვსთხოვ «ცნობის ფურცელსაც» და «მოამბეს», ნუ დაიშურებენ ჟურნალსა და გაზეთს ვარძიისათვის, ხოლო ნახატებიანი დამატება საჭირო არაა, ვინაიდგან ვარძია იტალია არ არის და მამა სიმონი იმ ბერთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელნიც ბოკაჩიოს დროს სცხოვრობდნენ. შიშველა ქალთა სურათნი «დეკამერონობას» გასწევენ და რა ხელსაყრელია, რომ უდაბნოში ჩვენივე ხელით შევიტანოთ «ეშმაკეულობა» და «ავი სული». საჭიროა პური არსობისა და გონების საზრდო და არა სულისა და გულის მაცთუნებელი. ესენი სხვა ჯურის ბერთათვის და ნერვებ-მოშლილ ინტელიგენციისათვის დავგილოცია.

ა. ფრონელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივნისი.

მოსკოვი. 21 ივნისს ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე აკურთხეს ძეგლი პუბლიცისტ გილიაროვ-პლატონოვისა. ძეგლი აუგეს კ. პ. პობედონოსცევმა და თავადმა შახოვსკიმ.

ბელგრადი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, მეფის გვირგვინის კურთხევა იქნება 6 სეკდემბერს ჟიჩის მონასტერშიო. ბელგრადში 11-დან 13 სეკტემბრამდე რამდენიმე დღესასწაული იქნება.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა დანარჩენი მუხლებიც სამხედრო ბეგარის კანონისა და დაადგინა, კანონი ძალაში უნდა შევიდეს 1905 წ. 1 იანვრიდან.

ტიანძინი. («რეიტერის სააგ.»). 14 ივნისიდან მოკიდებული იაპონიის უმთავრესს ესკადრას გადმოუდის ჯარები დალნიში პორტ-არტურზე იერიშის მისატანად. ხმელეთით. პორტ-არტურთან იაპონელთა მოქმედების შედეგი ამ დღეებში იქნებაო.

სან-ლუი. (რეიტერის სააგ.). დემოკრატიულის კონვენტის დელეგაციამ 57 ხმის უმეტესობით, 5 წინაალმდეგ, გადასწყვიტა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტად აირჩიონ პარკერი.

პორტ-ო-პრენსი. ის ჯარის კაცნი, რომელთაც გერმანიისა და საფრანგეთის ელჩები შეურაცხჰყვეს, სასტიკად დასაჯეს. ინციდენტი დამთავრდა.

სტამბოლი. პორტას ცდილობით, ოტომანის ბანკი თანახმაა მისცეს სესხად 50 ათასი გირვანქა; ეს ფული უნდა მიეცეთ დათხოვნილ ჯარის კაცებს მაკედონიაში, რომელთაც ჯამაგირი არ მიუღიათ.

ტოკიო. («რეიტ. სააგენ.»). კუროკი იუწყება, გარიჟრაჟზე რუსის ორმა ბატალიონმა ნისლის გამო შეუმჩნევლად იერიში მიიტანა იაპონიის ავანპოსტებზე მოტიენლის უღელტეხილთანო. უკან დააწევინეს, მაგრამ ხელახლა გაჩნდნენ და სამჯერ მოიტანეს იერიში, მინამ სულერთიანად უკან არ დავახევინეთ. იმათ დასტოვეს 30 მოკლული და 50 დაჭრილი; იაპონელებს მოუკლეს 15 და დაუჭრეს 30 კაცი.

ლონდონი. «რეიტ. სააგ.»-ს კორესპონდენტი ლიაოიანში მოწმობს რუსის ჯარების საუცხოვო სიმტკიცესა. თუმცა დიდს შეწუხება-შეჭირვებას ითმენენ, მაინც ჯარები გულმაგრად არიან. ჯარის-კაცნი ხშირად 12 საათის განმავლობაში რჩებიან მინდვრად, მინამ მიეცემათ შეძლება წვნიანი საჭმლის გაკეთებისა, რადგანაც გადაუღებელის წვიმისაგან სველდება შეშა. თუმცა ასეა, მაგრამ ისინი არა ჰკარგავენ გულადობასა, არც მოთმინებასა.

23 ივნისი.

პეტერბურგი. დეპეშები გენერალ სახაროვისა მთავარ შტაბს 21 ივნისის თარიღით: 1) 20 ივნისისათვის ჩვენი მოწინავენი იდგნენ ლიაოიანის აღმოსავლეთად იანზელინის უღელტეხილზედ. და სალამოზედ მზვერავთ გამოარკვიეს, რომ მტრის მოწინავენი, ესე 1500 კაცამდე, სდგანან ჩვენი ჯარების პირის-პირ, ხოლო უმთავრესი ჯარები დაბინაკებულნი არიან ფინშუიალინისა და მოდულინის უღელტეხილზედ. ამ დროსვე გამოირკვა, რომ ჩვენს მოწინავეებისთვის მტერს უნდოდა მარცხნივ შემოევლო გარს იანზელინის გადასავალთან. ამის ასაცდენად ვაიგზავნა ჩვენი ჯარი. იმის გაგებად, თუ რამდენი ჯარი ჰყავდა მტერს იანზელინის წინ, ებრძანა პოლკოვნიკს ლეჩიცკის დაეზვერნა იმ ღამესვე მტრის ბანაკი. მიეცა 10 როტა ჯარი. რათა პოდპოლკოვნიკის ლეჩისკისათვის გზა არ გადაეჭრა მტერს, რამდენიმე როტა პოდპოლკოვნიკ გარნიცკის უფროსობით უკან იყო დატოვებული და ებრძანა, როგორც უნდა ემოქმედნა და საით უნდა წასულიყო. ნაშუალამევის 1 საათსა და 15 წუთზედ 21 ივნისს ორივე რაზმი გაემართა თავ-თავის გზით. 2 საათზედ და 30 წუთზედ ასტყდა სროლა. გარნიცკის რაზმი შეხვდა მტრის მოწინავეებს და უკან დაახევინა. ამავე დროს ლეჩიცკის რაზმმა თოფ-გაუსროლელად დააწევინა უკან წინ წამოსულს მტერს. 3 საათსა და 55 წუთზედ ჩვენები ეკვეთნენ მტრის მოწინავე რაზმს, რომელმაც სროლა დაიწყო თოფისა მთის წვერიდან და უკან დააწევინეს. ჩვენი რაზმი თოფ-გაუსროლელად მიდიოდა წინ. მტერი ესროდა თოფსა წინიდანაცა და ორივ მხრიდანაც, მაგრამ მაინც მივიდა 150 ნაბიჯზე უღელტეხილამდე. აქ-კი დაუშინეს თოფები სეტყვასავით. მოწინავენი ხიშტებით ეკვეთნენ მტერს, რომელსაც დაატოვებინეს სანგარ-თხრილები, მაგრამ რადგან მტერმა ორივ მხრიდან მოუარა ჩვენებს დიდის ჯარით, რაზმის უფროსმა ბრძანა, როგორც წინადვე ჰქონდა ნათქვამი, უკან წამოსულიყვნენ. გარნიცკის მარჯვენა რაზმსაც მოუხდა ხიშტებით ბრძოლა და ნაწილი მტრის წინა ჯარისა გასწყვიტა, ხოლო ნაწილს უკან დააწევინა. დაბრუნებულმა გარნიცკიმ ღამის 2 საათზედ დაიჭირა ის ადგილი, რომელიც ნათქვამი ჰქონდა წინადვე. დაიწყო თუ არა ლეჩიცკის რაზმმა უკან წამოსვლა, მაშინვე საშინელი სროლა დაუწყეს იაპონელებმა მთებიდანა და უღელტეხილიდან. მაინც ლეჩიცკის რაზმი ბრწყინვალე წესიერებით მოდიოდა უკან, გეგონებოდათ პარადზეაო. ყოჩაღი პოდპოლკოვნიკი ლეჩიცკი ერთთავად ჯარში იყო და შესანიშნავის მოხერხებითა და თავდაჭერილობით ხელმძღვანელობდა რაზმს. უკანასკნელი ის გამოეცალა მტერს შტაბის უფროსს კაპიტან სერებრიანიკოვთანა და ადიუტანტ პორუჩიკ გრიგორიევთან ერთად. ყველანი, როგორც ლეჩიცკისა, ისე გარნიცკის რაზმებში საუცხოვოდ იქცეოდნენ, გულ-დამშვიდებითა და უფაცი-ფუცოდ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენი ზარალი: გაიკენწლა პოლკოვნიკი ლეჩიცკი, დაიჭრა პოლკოვნიკი პოსპელოვი, პოლკოვნიკი ტრახიმოვსკი, კაპიტანი სალაევი, პორუჩიკი კუზინი და კიდევ რამდენიმე აფიცერი, რომელთა სიას ცალკე წარმოგიდგენ. იმ ჯარის კაცთა რიცხვი, რომელიც დაიჭრა და მოიკლა 200 კაცზე მეტია. მე ჩემის შტაბით თვალ-ყურს ვადევნებდი ბრძოლის თხავუანის კოშკიდან, ამიტომ შემიძლიან პირადად დავამოწმო, როგორც იქცეოდა ჩვენი ჯარი. არ შემიძლიან დაგიმალოთ და არა ვსთქვა-რა იმ მზრუნველობაზედ, რომელიც გამოიჩინა მღვდელმა რემეზოვმა. ჭრილობას უხვევდა დაჭრილთ მაშინ, როცა საშინელი სროლა იყო-ატეხილი ჰშველოდა იმათ, ვისაც გამოჰქონდა ბრძოლიდგან დაჭრილნი. როცა პოლკოვნიკმა ლეჩიცკიმ შეუტია მტერს, მაშინდელი დაჭრილები ყველა გამოიტანეს ბრძოლის ველიდგან და გადაარჩინეს სიკვდილს. უგზოდ დაკარგულნი: პორუჩიკი კუპრიევი და რამდენიმე ჯარის კაცი. გალაშქრებულ ჯარის უფროსი ჰმოწმობს, რომ ბევრ დაჭრილს, შეუხვევდნენ თუ არა ჭრილობას, უარობდნენ ქსენონში არ წავალთო და ისევ საომრად მიდიოდნენ». 2) 18 ივნისს ღამე ჰაიჩოუს სამხრეთად მტერმა აიტნა ჩვენი მარჯვენა ფრთედის რაზმი, რომელიც ზღვის მახლობლად იდგა, ჰაიჩოუდან 22 ვერსზედ. 20 ივნისს დილით ჩვენი მაშველი ჯარი გაჩნდა. სროლაში ერთი ჩვენი ჯარის კაცი დაიჭრა. ნაშუადღევისას მტრის რაზმმა დაიწყო ჩვენი ოტება. მტერმა საშინელი სროლა დაიწყო. ჩვენებმა უკან დაიწიეს. ერთი ნაწილი ჩვენის ცხენოსანის ჯარისა საჩქაროდ გაექანა იქით, საცა გაჭირვება იყო. მტერმა ტყვიის მფრქვეველები გაამაგრა მაღლობზედ. ქვეითი ჯარი მახლობლადვე დააყენა სოფლების პირში. ჩვენი ბატარეია გავიდა სიმაგრეთა დასაჭერად. ერივნენ დრაგუნებიცა და სამზღვრების მცველნიცა, რომელნიც ბატარეიას იცავდნენ. ჩვენის თოფზარბაზნის სროლას მტერმა ვერ გაუძლო და საჩქაროდ დაიწია უკან, სინიუჩენისაკენ. ჩვენმა ცხენოსანთა ჯარმა მისდია მტერს სინიუჩენის წინა სიმაგრეებამდე, რომელიც ძრიელ გამაგრებული და მტკიცედ დაჭერილი აღმოჩნდა. ჩვენი ზარალი: დაჭრილია ერთი ჯარის-კაცი. დერეედი და ტამერლგოუ 20 ივნისს მიატოვეს იაპონელებმა, ხოლო ჩაპანლინის გადასავალი ისევ იმათ ხელშია; აგრეთვე მადავაიძა სიუანიდან ჩრდილოეთად. როგორცა სჩანს უმთავრესი ჯარი მტრისა თავ-მოყრილია ვანდიაპუძასთან. ჩვენი ზარალი 20 ივნისის დაზვერვის დროს ის იყო, რომ რამდენიმე ცხენი დაიჭრა და მოიკლა. ამავე დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ დალინის უღელტეხილს მტერი ამაგრებს».

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: «თანხმად სამხედრო ბეგარის წესდების მე-9 მუხლისა, გამოც. 1897 წ. რადგანაც საჭირო შეიქმნა ხმელეთისა და საზღვაო ჯარის შევსება, ვბრძანებთ: 1) თანახმად სამხედრო ბეგარის მოხდის საზოგადო წესდებისა, იმპერიის ყველა ადგილებიდგან, რომელზედაც კანონიერად მოქმედებს ხსენებული წესდება და რომლის მიხედვითაც უნდა შეივსოს ხმელეთის და საზღვაო ჯარი, გამოწვეულ იქმნას, მომქმედ ჯარში 1904 წელს 447,302 კაცი; ამ რიცხვში შედიან ისინიც, რომელნიც წინად, ომის დაწყებამდე, განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურისაგან და 2) თერგის ოლქში მცხოვრებ 100 კაც ოსთაგან შესდგეს ოსების ცხენოსანი დივიზიონი, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, რომელიც უმაღლესა დამტკიცებულ იქმნა 10 ივლისს 1890 წელს. ფმათებულესი სენატი თავის მხრივ მოახდენს ამის შესახებ ჯეროვანს განკარგულებას». ნამდვილზედ მისის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «**ნიკოლოზ**». პეტერგოფი, 7 ივნისს 1904 წ.

ლიაოიანი. დაუჯერებელი ხმა ისმის, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა დღეს შეჰხვდა იაპონიის ესკადრას გენზანის ჩრდილოეთითაო; მოხდა მეტად ცხარე ბრძოლა, რომელიც ჩვენთვის საკეთილოდ გათავდაო. დაწვრილებითი ცნობები არ იციან.

გენერალ ოქუს ლაშქარი უკან იხევს, იმ განზრახვით, რომ თავი მოუყაროს მთელს თავისს ძალას პორტ-არტურის ახლო-მახლო. ძინჯოუს პოზიციებს იაპონელები ამაგრებენ ციხის ზარბაზნებით, რომელიც მრავლად მოაქვთ.

იუწყებიან, რომ ნაგასაკიდგან იაპონელებმა გემებით გაჰგზავნეს ბრძოლის ველზედ ორი დივიზიაო. როგორცა სჩანს, იაპონელები უკანასკნელს ძალ-ღონეს იკრებენ.

გენერლებს ოქუსა და კუროკის ჩვენმა ჯარებმა სტრატეგიულის დივერსიებით უკან დაახევინა.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანებაა ფლოტის შევსების შესახებ ბალტიისა და შავის ზღვის სამხედრო ნავთსადგურებიდგან და ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცთა მომქმედ ჯარში დამატებით გაწვევის თაობაზედ; ნაბრძანებია, რომ მოწვეულ იქმნას ნამდვილ სამსახურში: 1) ბალტიის ზღვის სამხედრო ნავთსადგურების საჭიროებისათვის, თანახმად არსებულის სამობილიზაციო წესებისა, ყველა ვინც კი ჯერ არ გაუწვევიათ სათადარიგო საზღვაო ჯარის კაცთაგან ევროპის რუსეთიდგან, გარდა ორენბურგისა და ფინლიანდიის სამხედრო ოლქის ყველა გუბერნიებისა; 2) სევასტოპოლის ნავთსადგურის საჭიროებისათვის უნდა გაწვეულ იქმნან როსტოვისა ტაგანროგისა და დონის ჯარების ოლქებიდგან, აგრეთვე ელისავედგრადისა, ალექსანდრიისა, ანანიევისა და ტირასპოლის მაზრებიდგან, ხერსონის გუბერნიისა, თანახმად იმავე წესებისა.

ტიანძინი. 10 რუსის აფიცერი და 100 მეზღვაური ჩასხდნენ ინკოუში კონტრნაღმიან გემზედ «ლეიტენანტი ბურაკოვი» ამის გამო ჰფიქრობენ, რომ ნიუჩუანი განმარტოვებული უნდა იყოს. არავინ იცის, საით წავა «ლეიტენანტი ბურაკოვი».

ზიანცძე. დროებითის ზავის ვადა რომ გათავდა, სამხედრო მოქმედება განახლებულ იქმნა. ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს თიბეთელების სიმაგრეს.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსიაა არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისხნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე - უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორეგ ამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილ ების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—1)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსრიალ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

ტყავის საქონელი

რუსეთს და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის სწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—7).

Дозволено цензурою Тифлисъ 23 іюня 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи